Attachment To... RE: ბაზრის კვლევა (Lamotrigine) - Message (HTML)

File Message ESET Attachments Tell me what you want to do...

Open Quick Print Send To Save As Save All Attachments Remove Attachment Copy Show Message

Actions Selection Message

Fri 16-Nov-18 11:02 AM

Pikria Petremghvdlishvili <pikria@aversi.ge>

RE: ბაზრის კვლევა (Lamotrigine)

To Besik Datukishvili

Lamotrigine_15.11.18....
23 KB

გამარჯობა,

გიგზავნით „ლამოტრიჯინი 100მგ"-ის ფასს.

პატივისცემით

Pikria Petremghvdlishvili
Aversi-Pharma Ltd.
State Procurements Manager

148 Agmashenebeli Ave., Tbilisi, Georgia
Tel.:+995 (32) 2 506 506
Ext.: 1012
E-mail: pikria@aversi.ge
http://www.aversi.ge

ავერსი AVERSI

From: Besik Datukishvili <bdatukishvili@ssa.gov.ge>

დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო აცხადებს ბაზრის კვლევას „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვის მიზნით.

შესასყიდი ფარმაცევტული პროდუქტის სავარაუდო/საორიენტაციო რაოდენობა და მახასიათებლები მოცემულია წინამდებარე განცხადების დანართში N1.

მოსაწოდებელი ფარმაცევტული პროდუქტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე დაშვების უფლების მქონე, დაშვებული შეფუთვა-მარკირებით.

ბ) რეგისტრირებული უნდა იყოს „სხვა ქვეყნების ან სახელმწიფოთაშორისი ფარმაცევტული პროდუქტების მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოების სიის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 22 ოქტომბრის N188 დადგენილებით (შემდგომ ტექსტში - „N188 დადგენილება“) განსაზღვრული, შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე, რაც უნდა დადასტურდეს:

ბ.ა) „N188 დადგენილების“ დანართით განსაზღვრული, შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ, მის კონტროლს დაქვემდებარებულ ბაზარზე დაშვების დამადასტურებელი დოკუმენტით

ან

ბ.ბ) წარმოდგენილი უნდა იყოს ფარმაცევტული პროდუქტის სერტიფიკატი (CPP) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული ფორმით, გაცემული ბოლო ერთი წლის განმავლობაში „N188 დადგენილების“ დანართით განსაზღვრული მარეგულირებელი ორგანოს მიერ, „N188 დადგენილებაში“ მითითებული რომელიმე ქვეყნის, ან საქართველოს ბაზრისთვის;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული პროდუქტი არ აკმაყოფილებს „ბ“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, წარმოდგენილ უნდა იქნას WHO-ს პრეკვალიფიცირებული ლაბორატორიის მიერ, თითოეულ ჯერზე მოსაწოდებელი ფარმაცევტული პროდუქტის კონკრეტულ სერიაზე გაცემული ხარისხის სერთიფიკატი/ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც უნდა ადასტურებდეს, რომ შემოთავაზებული ფარმაცევტული პროდუქტი აკმაყოფილებს მწარმოებლის სპეციფიკაციით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, არა უგვიანეს 2018 წლის 16 ნოემბრის 18.00 საათამდე წარმოგვიდგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- ერთეულის ღირებულება როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში/ევროში;
- წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი;
- საქონლის მოწოდების ვადები.

ამასთანავე, გთხოვთ გვაცნობოთ:
ა) რა მიზეზის გამო არ მიიღო თქვენმა ორგანიზაციამ მონაწილეობა ამავე ფარმაცევტული პროდუქტის შესასყიდად გამოცხადებულ SPA180008135 ელექტრონულ ტენდერში;
ბ) კონკრეტულად რა რაოდენობის (მოცულობის) ფარმაცევტული პროდუქტი შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (სავარაუდოდ, არა უგვიანეს 2018 წლის 3 დეკემბრისა).

შესაბამისი ინფორმაცია/მონაცემები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: bdatukishvili@ssa.gov.ge ან წერილობით წარმოადგინოთ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისი, წერეთლის გამზ. N144).

წინასწარ გიხდით მადლობას ბაზრის კვლევაში მონაწილეობისთვის.

მოსაწოდებ ელი საქო ნლი ს საერთაშორისო დასახელება	რაოდენო ბა (ტაბლეტ ი)	ფარმაცევტუ ლი პრო დუ ქტის ფორმა	წარმოშობის ქვეყანა/მწარმოე ბელი	მახასიათე ბელი	ერთეული ს ფასი, ლარი	მთლ იანი ღირე ბულე ბა	მიწოდების ვადები
„Lamotrigine" ლამიქტალი 100მგ #30ტ	459 900	100 მგ ტაბლეტი	გლაქსოსმიტკლა ინ ფარმაცეუტიკალ ს ს.ა. პოლონეთი		1,158		2018წლის 3 დეკემბრამდე შეგვიძლია 36720 ტაბლეტის მოწოდება

ტენდერში SPA180008135 მონაწილეობა ვერ მივიღეთ, რადგან მოთხოვნილი რაოდენობის მოწოდებაზე არ გვქონდა გარანტია მწარმოებელი კომპანიისგან.